

### ახლო მომავლის დიალოგი

(სოციალისტური დიქციონარის სამახსოვროდ)


შემოდგომა (ზამთარს) — მოზრძანდი, აბუა, მოზრძანდი, ხაყვედურს ვეტყოდი, აგრამ მარტო შენ არ დაგიგვიანია!..



სტამბოლის საბავშვო

ნ ი ა ნ მ

ამერიკამ ფრანკოსთან და საბერძნეთის მთავრობასთან დადო ხელშეკრულება ესპანეთისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზების მშენებლობის შესახებ. უცხოეთის წრეებში მსგავსი ხელშეკრულების დადებას მოელიან ამერიკასა და თურქეთს შორის.



ნახ. გ. ლომიძისა



— ვყი-დუ-ლობ ძველ-მა-ნეე-ბს...  
— აი სალოლ, იანკი-ეფენდი, მობრძანდი, ძველმანი-ახალმანი სულ ძველის ფასად შოგვირთმეგია!

# ქრედი-ქრედი ამბები

## „კოკა-კოლა“ და კარუზო

ერთ დღეს რომის მცხოვრებნი გაოცებულნი შესცქეროდნენ ქალაქში გამოკრულ აფიშებს. აფიშებში გამოხატული იყო ენრიკო კარუზოს როლის შემსრულებელი კინომსახიობი, რომელსაც ხელში ეჭირა „კოკა-კოლა“-თი სავსე ჭიქა და ანთებული თვალებით შესცქეროდა ამერიკულ სასმელს.

თურმე ნუ იტყვიან, ამერიკულ კომპანიას „კოკა-კოლა“ ექსპორტ კორპორეიზნ“-ს მოესყიდა მსახიობი, რომელსაც დოლარებზე გაეცვალა გენიალური მომღერლის სახელი. მაგრამ ენრიკო კარუზოს მემკვიდრეთა ენერგიული პროტესტის წყალობითა და იტალიელი ხალხის გულისწყრომის შედეგად, ამერიკული კომპანია იძულებული გახდა ჩამოეხსნა რეკლამა და გაზეთის ფურცლებზე სახალხო ბოდიში მოეხადა კარუზოს სახელის შეურაცხყოფისათვის.

ამბობენ, „კოკა-კოლა“ ადამიანს ათრობს და აბრუებსო, მაგრამ იტალიელი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს კარუზო მისცა, ისე არასოდეს გაბრუვდება, რომ ამერიკულ ჰანგებზე ამღერდეს

## ქაშ სხვის მამიარ...

თურქეთის მთავრობის ოფიციალური, გაზეთი „ზაფერი“ ამას წინათ პირველ გვერდზე დიდი ასოებით იუწყებოდა: „სამი წლის განმავლობაში ჩვენ დავამთავრეთ 130 ციხის მშენებლობა“-ო.

საკვირველია, რომ თურქეთის მესვეურნი ამ შემთხვევაშიც კი ამერიკელი ბატონების მაგიერ ლაპარაკობენ.

## გაკვლეობის სურვილი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰეიდელბერგის ახლოს ამერიკელმა კაპრალმა ხირამა როჯერსმა გაძარცვის მიზნით მოჰკლა ტაქსის ავტომძღოლი გერმანელი ერვინ შილინგი. სასამართლოში როჯერსმა განაცხადა, რომ იმის შემდეგ, რაც იგი კორეადან დასავლეთ გერმანიაში გადაიყვანეს, მას „ვინმეს მოკვლის სურვილი აწვალეს“.

ამერიკელ კაპრალს ოდნავ ჭკუა რომ მისცა, თავის სამშობლოში, მის „აღმზრდელ“ ამისათვის ღირსეულ ცოტა ადაამიანს როდი ნახავდა „მწვალებელი სურვილის“ დასაკმაყოფილებლად.



— ეს ქალღმერთი კობად კი ჩამოართვი გაქვნიებულ ცხენიდან, მაგრამ გუშინდელივით სხვა ხოფლის დავალება არ დაგვიტოვოს!..



# ვერამშენი

ქებურისა ქუჩაზე № 33 სახლის ერთ ოთახში ცხოვრობს მოქალაქე ვერა ტაბატაძე. ადვილი სათქმელია — „ცხოვრობსო“, კი არ ცხოვრობს, იკლებს მთელ ფოსს, მთელი ამ სახლის ჭერი ქუდად არ მიაჩნია, საცხოვრებელი ფართობი — ქალამნად.

ჯერ ისევ 1948 წლის ზაფხული იყო, როცა მოქალაქე ვერა ტაბატაძემ თავის საკუთარ აივანზე მცირეოდენი ფართობის მქონე სამხარეულოს აშენების ნებართვა აიღო.

მადა ჭამაში მოდისო, რომ იტყვიან ხოლმე, ვერასაც ასე დაემართა: პატარას შენება დაიწყო და პატარ-პატარობით აგურის ზიდვამ და ტალახის გლესვამ ისე გაიტაცა, რომ საკუთარ საცხოვრებელ ბინას 13 კვ. მეტრის მოცულობის ოთახი მიამატა თავისი სარდაფით. ახალშენებლობამ კი სრულიად ვერ დაამშვენა მისი მეზობლების მოქ. ხაჭაპურიძისა და ბენდიანაშვილის ბინები: საკმაოდ ჩააბნელა, ჩაანესტიანა და მშენებელ-ჩაბნელებულებს შორის დაუსრულებელი დავა ატეხა.

ქალაქის საბჭომ უკანონოდ სცნო მოქ. ტაბატაძის მშენებლობა, რესპუბლიკის პროკურორმა — მიუღებლად. რაიონული საბჭო არ დაეთანხმა გუნებაში, მაგრამ დიდი არაფერი გაუკეთებია ამ ოჯახაშენებულ ტაბატაძის წინააღმდეგ.

ვერ ისვენებდნენ ხაჭაპურიძე და ბენდიანაშვილი, საბჭოს, სასამართლოს და პროკურატურას კიბეები აუტალახეს და როგორც იქნა იმას მიიღწიეს, რომ მოქ. ტაბატაძემ განკარგულება მიიღო მშენებლობის შეჩერების შესახებ. მეთვალყურეც მიუჩინეს — აგური და ქაფჩა თვალით არ დავიხანხოთო,

ვერა ტაბატაძე იმათზე უფრო ჭკვიანი გამოდგა: დღე ეძინა, ღამით კი შენებას აგრძელებდა. რაკი ყველა ის დაწესებულება, რომელმაც ვერას მშენებლობა აკრძალა, დღე მუშაობს და ღამე ისვენებს, ადვილი გასაგებია, რომ ვერას მშენებლობას ვერას დააკლებდნენ და მოხდა ისე, რომ ვერამ თავისი ვააკეთა, ქალაქის საბჭომ და რესპუბლიკის პროკურატურამ კი ვერაფერი.

„ვერამ როგორ უნდა გვაჯობოსო“ თქვეს „ვერამშენის“ ამკრძალავმა ორგანოებმა, „ქვას ქვაზე არ დავტოვებთო“ დაიმუქრნენ და დადგენილებას დადგენილება მიაყოლეს: სასწრაფოდ აღიგავოს „ვერამშენი“ პირისაგან მიწისაო.

მოქ. ხაჭაპურიძეს და ბენდიანაშვილს მაგრად აქვთ ხელში ჩაბლუჯული ეს დადგენილება, რაისაბჭოდან სასამართლოში დარბიან, სასამართლოდან პროკურატურაში, მაგრამ იმის მეტს ვერაფერს მიაღწიეს, რომ ვერა ტაბატაძემ სახელოები დაიმკლავა და...

1953 წლის 13 მარტს ვერა ტაბატაძეს 2 წლის პატიმრობა მიესაჯა ხულიგნობისათვის. მაგრამ დადგენილება აქაც დადგენილებად დარჩა, ხელუხლებელ ვერა ტაბატაძეს ხმა ვერავინ გასცა.

რაშია საქმე? ნუთუ საბჭოთა კანონი ერთ თავნება ხულიგანს ველარ მოერია?! არა, ტაბატაძეს ვიღაც თანამდებობის მქონე კაცუნა მფარველობს, ყოველ საათს ტელეფონს აწკრიანებს და საბჭოთა ორგანოებს უსინდისოდ ხელს უშლის.

ვინ არის ეს კაცუნა? ვნახოთ პირველი ვინ გამოესარჩლება თავნება ტაბატაძეს.



# ქათმები ისტორია

ეს ამბავი სულ უბრალოდ დაიწყო. პლატონ და შოი ტოპო-ნიძეები, კარგად შეზავიზებული, კონსტრუქციის ტექნიკ ტემ-ბად მიუკერძოებდნენ. ერთმანეთს ხან მიდიდს ამბავს უყუებდნენ, ხან კი ახლავდნენ. ისინი ყოფი ანდელტებზე უნდა გადასულიყვნენ, რომ ორი ანდაჯარდა უფროსი ვერსიის ამოღება მათ და სულაც ხშირ უნდა მისწრაფებოდნენ:

— ამა, ჩქარა, ფული, თორემ ვაგადავით!  
— ფინა, ბებო, თქვენ ვაგადავით, ესე პატარები ამოღენს ვერსიისა.

— ჩქარა, თორემ... — დიდხანს ერთმანეთს ვერღმა და პლატონის ჯიბის ხელი სტაცა.

რადს იზამდნენ შოი და პლატონი, ხელი გამოიღეს და ქუ-რადს ისეთი მასპინძლობა გაუწიეს, რომ ერთმა გაცემით თავს უწველა, ხოლო მეორემ დახა აზიოდა და პლატონ ტოვანდის მივლას დაუბრია. სწორედ ამ დროს განდა მილიციის შუშვი იფინე საუბრისშეილა. ქურდს — უფრო სხეული მოუგებდა, დანა გააფლანდა და კონსერვირია იქ წაყვანა, სადაც სრულიად არ ურღოდა წასვლა.

— მამ თქვენ, მთავათი ატორიტული ვაგაყვანეს ეს ცეროდენა ბიჭი შეგვჯიდა და შეგანაწინა! — შეუკანთა ტოვანდებებს სასა-ბამოდლო პიროვნებებს სტალინის სახელობა 1 უნდის მოსაპაროდლო ლახმბივლი.

— დაახ, პატრეცემული მოსაპაროდლო, ვადრკვა მოვდენო!  
— ამა, ამ და უფესურბა, პაკილა კიტისოდენა ბავშვმა!  
— დაახ, ვუგებთოდა დანა გებრა.  
— ვერე, დანამ შეგანაწინა, თქვე ვლახებო! დანისა კი არა ატორიტული ბიჭისა არ უნდა შეგებნიდეთ. ვარცხენოდლო... ვარცხენოდლო...

— რისა, პატრეცემული მოსაპაროდლო?  
— რისა და ამ პატარა ბიჭს რომ ქურდობისა სწავებო?  
— მამ... მამ... მე და ქურდობა?! — ჩილიანარაკი ბზადღე-ბულიმ უსწავებია.

— პლატონ ტოვანდით, თქვენ უნდა ვაგინეთო, რომ სა-წყაბა ბავშვმა უსოველი ფული მოგახიზოთ?

— არა, პატრეცემული მოსაპაროდლო, ხუთი ზაითარ-ზაფხუდით არის ვასკლი მას შეგვდა, რაც საკუთარი უნდა იხდა დაბადლო ნაღ-ზარკივთ აღარ მესმის, ნახვრად ყოფ ვარ, ჩემი ხშირი ლახპაკობ-და, ამოდებულა დანა კი დავიგებო.

— გესმით, პატრეცემული მოსაპაროდლო, გესმით, პლატონ ტოვანდის არ ვაგვია უფრეცემული ბავშვის ოფრეც უსოველი მიგრ თითქმის ნათქვამი სიტყვები, ჩქარა ფული მომიცეთო! — და მოინდა პირს ადვოკატმა შეუდლოშვილი, თვალზეც ცრემლი მოეყინა და ხელისმის ქვეითი „ქვა ქუხზე აღარ დატოვა“.

ამით დამთავრდა სასამართლოს სხდომა, ადვოკატის ცრე-სიტყვებით გულაგაჩუკაბაი მოსამართლე განაწინის გამოსტალინ-ხშირი ოთახში გაიღია და იქნად შეშინებისას გულანდობელიც ხშირი წაყვანა:

• ი. უსოველი არასოდეს სამარაოში არ ყოფილა, იმიტომკა-დაც ის პატარა ტანის სუსტი ბიჭია, 1934 წელში დაბადებულია, სასამართლოს არ შეეგნა რწმენა, რომ მას შეუძლოდ დადებოდა ის მიწოდელი ვაგაყვანს პლატონ და შოი ტოვანდებებს. ისეთი დი-დი კორკაბატია მათ შორის... და ყოველდღე ამის გამო ვანავი-სუფლდეს ი. უსოველი და სახლში მიბრძანდესო.

განაწინის წაითხვის შემდეგ ბევრმა იცინა, ბევრმა ვაგაყვინეს, ზოგმა მუხზე ხელი დაარტყა და შოი და პლატონ ტოვანდებებს მოსამართლეს მოსამართლის გულანდობელიც რწმენის შედგენა.

სამართლის ძალას ამა ვინ ვარცხენა, მაგრამ ამა ლახპაკების კარგი ოქვბა მოგაყოფიო, რომ ი. უსოველი, ამ გუნდის რეკლამისტს, ქურდობისათვის 1952 წელს მიესჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა და ციხეშიც ამ უკრბ ხნის წინაო, ამისიტვის წყალობით გამოსულდა, თითონ პატარამ, დიდი დანა დატვირდა და დიდი ზო-რის ტოვანდებებს ვაგაყვინა დაუბრია. პლატონ ტოვანდის არც იმგვანა ვაგაყვინა და არც ამგვანად ესმის დაბალი ხშირი ლახპაკი, არ ჩანს, ბუნებამ დასაყა. მაგრამ შოი ტოვანდის ვაგაყვინილი უფ-რით ვაგაყვინილი რატომ არ შეედა ძალაში? მილიციის მომსახურს, საუბრაშიველის ჩვენებას რატომ ანერაზი არ აგვიყინა!

თორემ ნორმალური სენის მქონე ზოგიერთ ამანავსაც არ ესმის ადვოკატის მიწოდებული ერთი და იგივე უმარობები.

მ. კახალიაშვილი

ერთ ტყეში, ხეზე, ცხოვრობდა ყველა მიწურული და ჩემი ნადრია; მაგრამ მან ერთხელ ასწია თავი და იგრანო, რომ ავეს ჩინებული კოლორატურა.

ჩიკი ამბობდა: — 3წ! სად არიან? — პიროვნებებმა მოუსწინნო, დასტებენ ვალობით, ჩვენი ყვანაღა ვაგაყვინებს თვით ვასპარისს, ჩვენი ავმალდებენი მოულოდნელ ნიჭის წყალობით.

პროფესორებმა მოუსწინეს. ხმა ვერ იძივეს. მაგრამ აივებს მონაცემი, „მარკვილო“ ხმის, მიიღეს: — თუმცა ხმა არა ავეს, არც სმენა ვარც, მაგრამ შრომით ის უსათოდ მიიღვეს მიზანს.

ყვეს ამწარებდა, ამინებდა სმენა მისივე, კოლორატურას აწვადებდა ის ყოველ დილას.



მაგრამ ინივარს ვამოცლებს მოპევა სიცივე, ზაფხულის სიტყე ვამოცლებს „სითბომ“ დაწრილა. მის უნებობას არ ხელმბდა არაფერ წყრომით, — ყველა ამბობდა: — ი! მე ვხედავ მომავალ მისს!


თუმცა ხმა არა ავეს, არც სმენა ვარც, თუმცა ხმა არა ავეს, არც სმენა ვარც, თუმცა ხმა არა ავეს, არც სმენა ვარც.

შეგრა, უთუოდ რომ მიიღვეს დასახულ მიზანს.

მისცეს ღიბოლი! კომისიამ დასაცნა ასე: „კახისი ვერის ვიტყვით დილომანტის ნიჭე და ხმავე. არც ესტრადისთვის, არც ოპერისთვის ყველა არ ვარცა! რომ არ დაწვეს ჩვენი ქვეყანის არ ზღმებ ბარგად, უნდა უთუოდ ვაგაყვინიო ჩაივს სტეფი. მის მხოლოდ შრომა ვადაარჩენს! (ჩვენი ეს ღრმად ვეგვრა). და ამიტომაც ვადვოკოთ ავეს, ღეს, შესაწავლის მან სხევის სიმღერა.

მ. კახალიაშვილი

ზოგიერთი მესამე კლასე მშენებ ნაგებობა, უზარისოდ შეგებულ ტრაქტორებს, რომლებიც წაღვ გამოიდა მწყობრად



ნან. დონისა

ვაგებობად



ეს მრავალგანჯული კონვერტი გუთვნის საქ. სსრ არბიტრაჟს. მისი (კონვერტის) მოვალეობა იყო ფოსტის განყოფილებაში მოხვედრა და აქედან ვაჭრობის სამინისტროს საექსპერტო ბიუროში მიბრძანება. არ ვიცით ეხება თუ არა გეგმის გადაჭარბებისათვის ზრუნვა ჩვეულებრივ უბრალო გზავნილებს, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ ამ კონვერტმა მრავალი საფოსტო განყოფილება შემოიარა და, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი ადამიანის ხელმა იარჯერ დააწერა: „ივანიძის № 19“, კონვერტი ხანგრძლივი სეირნობის შემდეგ მაინც მის გამგზავნელს დაუბრუნდა. ცუდი არ იქნებოდა, თუ სახ. არბიტრაჟის მიერ გაგზავნილ კორესპონდენტებს ასეთ შემთხვევაში ყოველთვის სახ. არბიტრაჟს დაუბრუნებდნენ... განსახილველად და დამნაშავეს დასაჯარიმებლად.

„ნ უ ნ ი № 5“



ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ ქალაქში უხვად მზადდება ეგრეთ-წოდებული ლიმონათი, რომელიც ზოგჯერ უსიამოვნო შეპარწყალს წარმოადგენს და „ლალიძის“ მარკით ხალდება. ხსენებულ ქარხნებს შორის ყველაზე დიდი პატიოსნებით გამოირჩევა თბილისის ხილეულის წყლის ქარხანა, რომელიც იარლიყზე დაკრული ბეჭდით უხსტად განსაზღვრავს მისი პროდუქციის ხარისხს („Брак № 5“) „წუნი № 5“. საინტერესოა ვიცოდეთ რა გემოსი იქნება ამავე ქარხნის „წუნი № 125 და № 127“?

— თქვენი შვილი გზავს — ქართულს ცუდად ლაპარაკობს, რუსულ სიტყვებს ურევს და ზოგჯერ... — აქ გიას მასწავლებელი ოდნავ შეეყოყმანდა. — ზოგჯერ, ნათქვამი, ცოტა არ იყოს, უწმაწური გამოსდის. შეუსწორეთ ხანდახან. ბავშვი წაინდა ლიტერატურული ენით უნდა საუბრობდეს და ამას ოჯახშიც უნდა მიექცეს ყურადღება! — უთხრეს ნუცას.

— ღმერთო მოქალი! — იტიცა ნუცამ. — სახლში ყველანი ქართულად ვლაპარაკობთ, უწმაწური სიტყვები კი... დედა!... დედა!.. სად უნდა ესწავლა, ვერ გამიგია!?

დედა-შვილი ნაწყენი წამოვიდა სკოლიდან.

— გია! აქ უნდა იყოს ასტანოვკა, გაჩერდი...

— შენ არ მითხარი ფერადი კარანდაშები უნდა გიყილოვო? ჯერ მიყიდე!..

— არაფერსაც არ გიყიდი! ახლად ნაყიდი კარანდაშები სულ დაფანტე. გუშინ ბრიტვა დაგეგდო ბალკონზე და შენმა დამ კინალამ ფეხი გაიჭრა, ღღეს კი პეროები ჩაგერკო სტოლის ფიცარში. საქმეა ეს?!

გია მოიბუზა.

— მაშინ ვეჩნი რუჩკა მიყიდე და არ გავაფუქებ.

მაგრამ ნუცას შვილისთვის აღარ ეცალა.

გზაზე კეკლუცად ჩაცმული, ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, რომელსაც თმა ცეცხლისფრად შეეღებოდა, მოდაზე დაეხვია და ხელში ჩინური ქოლგა ეჭირა.

— ნინოჩკა, შენი კირიმე, სად იყავი? — მივარდა ნუცა ქალს.

— აგერ ვიყავი, ბოშო, ელიჩკასთან!

— დედა, რა ლამაზია ეს შენი კიტაისკი ზონტიკი? ამ კარობკაში რაღა გაქვს? პადარკებია?! — ზეღიზუნდა მიაყარა ნუცამ კითხვები.



— არა, ბოშო, აგერ ვიყავი საპოენიკთან, ჩემი ვანიჩკას ტუფლები მქონდა დასაპაჩინებლად. მერე უნივერსალში შევიარე და ფერჩატკები და წითელი ნასკები გიყიდე. გამეიარე, რას უდგებხარ?

— ტრამვაის ველოდებით!

— არ გადირიო, ბოშო, რა დროის ტრამვაია! აგერ დგას პავაროტში, გაფუქებულია. წამოდი, წამოდი!

ნუცამ ტრამვაის აღარ მოუცადა და სამივე ერთად გაუდგა გზას.

— გამოადგი ფეხი და ყური კარგად დაგვიგდე.. ისწავლე, როგორ უნდა ქართულად ლაპარაკი! — შეუტია ნუცამ შვილს და ბავშვი წინ გაიგდო.



— განა რამდენი წლისა ხარ, ბიჭოკო, პაპიროსის საყიდლად რომ მოსულხარ!..

### ჩ ი ტ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი ს ნ ო ბ ა თ ი

#### თავდაზღვევთა სამმართველო

თბილისში, 26 კომისრის სახ. რაიონში არის გურჯაანის ქუჩა, ამ ქუჩის სამ ნომრად დგას ერთი სახლი, იმ სახლში ცხოვრობს მოქ. კუმელაშვილი და იქვე, ორასიოდე მეტრის დაშორებით, შაუმიანის ქუჩაზე იმყოფება რაიონის საბინაო სამმართველოს რეზიდენცია.

და აი, მიმდინარე წლის 6 მაისს, მოქ. კუმელაშვილმა თხოვნით მიმართა თავის საბინაო სამმართველოს, რათა მის გამგებლობაში გადაეცათ პატარა საკუჭნაო, რომელიც ის-ის იყო განთავისუფლდა.

იარა ამ პატარა განცხადებამ, საბინაო სამმართველოს ცხრა მაგიდა და ცხრა უჯრა მოიარა. ბოლოს სამი თვისა და ხუთი დღის ლოდინის შემდეგ ასეთი პასუხით დაუბრუნდა მოქ. კუმელაშვილს:

„პასუხად თქვენი განცხადებისა, 26 კომისრის სახ. რაი-საბინაო სამმართველო გაცნობებთ, რომ აღნიშნულ სარაის გადაცემაზე უარი გეთქვით...“

საიდან სადაო, კაცი საკუჭნაოს მოითხოვს და „სარაის“ შესახებ ელაპარაკებინან.

ესეც არაფერი. საბინაო სამმართველომ თავის დასაზღვევად ასეთ ხერხს მიმართა: დაინახა, რომ პასუხის დაგვიანებისათვის კარგს არაფერს ეტყოდნენ და მოქ. კუმელაშვილის საპრეტენზიო საჩივრისათვისაც ყოველმხრივ გზა რომ გადაეჭრა, ადგა და 5 სექტემბერს გაგზავნილ ქაღალდს თარიღად 26 მაისი მიაწერა.

„სარაი“ მათ საქმეს!

#### ტყიბულუნიც ბაქსაზიანი

ტყიბულის ავტოგარაჟში სათვალავად სამი ავტობუსი დგას, მაგრამ მათგან რეისზე მხოლოდ ერთი დადის და ორი კი მორიგეობით მუდმივ რემონტშია.

მართალია ტყიბულში მსუბუქი ავტოტაქსებიც მუშაობენ, მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას: ავტოტაქსში ოთხი კაცი რომ ჩასვან, ავტომძღოლები მრიცხველის მიერ

ნაჩვენები თანხით როდი კმაყოფილდებიან. თითოეულ მგზავრისგან ღებულობენ იმაზე ორჯერ მეტ საფასურს, რაც მრიცხველზეა გამოხატული. აბა, თუ ბიჭი ხარ და ნუ მისცემ ფულს.. ავტომძღოლი ლანძღვა-გინებით იკაურობას აიკლებს. თუ შემდეგ კვლავ შეგხვდა და გიცნო, თავისუფალიც რომ იყოს, ტაქსს მაინც არ გაგიჩერებს. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევა № 26-49 ტაქსის მძღოლი შალვა ქემოკლიაძე. მისი ლანძღვა-ყვირილი განა არ ესმის ავტოკანტორის უფროსს მარგველაშვილს, ავტონსპექციის უფროსს შ. კილაძეს და გარაჟის უფროსს შ. კეჭეყმაძეს? მათ მგზავრების ჩივილიც ესმით, მაგრამ დღემდე გულდამშვიდებულნი შესცქერიან ამ მდგომარეობას.


ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ისინი მხოლოდ მაშინ უნდა დამშვიდდნენ, როდესაც ტყიბულელ მგზავრებს ავტობუსების მშვიდობიან რეისებს დაუწყებენ.

დ. ირემაკაე

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტический журнал „Ниянგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1953 წ. 30/X. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 2305 გამოც. № 20 ტირ. 15.000 უე 13503.



### თბილისის ქაჩაუბი

იშვიათი შემთხვევა როდია, როცა ქუჩაზე შეჩერდება ვინმე გამყვანი და პაპიროსის ნამწვავს ურნაში გადასვრის. ჩვენ, ქვეითად მოსიარულენი, თითქმის შევეჩვიეთ ქუჩაში სისუფთავის დაცვის წესს. მაგრამ, თბილისის ქუჩებში ახლა ავტომანქანებზე საკმაოდ ბევრია და აი, თუ კაცი თავის „პობედაში“ წეს, იგი უღარდელად ისვრის პაპიროსის ცარიელ კოლოფს, თბილის ნაკუჭს, მოკბერილ ვაშლს და მარჯვე უნდა იყოს, რომ სახე აარიდოს. საბარგო მანქანები ხომ მით უმეტეს უფრო მდიდარია მიმოხაფანტავ მტვერიოთა და ნავით.

წესი და სისუფთავე ავტომანქანებსაც უნდა მოგთხოვოდ.

საქართველოს სსრ სსრ წიგნთა პალატა  
№ 256 53  
თბილისი  
17/11/70

